IBSU

# საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი

| | |
|---|---|
| **საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება** | ტურიზმი (ინგლისურენოვანი) |
| **პროგრამის ხელმძღვანელი** | პროფესორი ავთანდილ გაგნიძე, agagnidze@ibsu.edu.ge ტ.597999554 |
| **სწავლების საფეხური** | ბაკალავრიატი (უმაღლესი განათლების I საფეხური) |
| **სწავლების ენა** | ინგლისური |
| **საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი** | დამატებითი (Minor) |
| **კრედიტების რაოდენობა** | 60 |
| **მისანიჭებელი კვალიფიკაცია** | - |
| **დაშვების წინაპირობები** | დამატებითი (Minor) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი |
| **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი** | ტურიზმის დამატებითი (minor) პროგრამის მიზანია სტუდენტს:<br>✓ მისცეს თეორიული ცოდნა ტურიზმის სფეროში<br>✓ ჩამოუყალიბოს პრაქტიკული უნარები, კერძოდ: ტურისტულ ფირმებში, სააგენტოებში, სასტუმროებში, საინფორმაციო და სარეკლამო ცენტრებში, საექსკურსიო ობიექტებსა და დაცულ ტერიტორიებზე და ა. შ. საქმიანობისათვის;<br>✓ ხელი შეუწყოს კვალიფიკაციის შემდგომი ამაღლების შესაძლებლობას სწავლის მომდევნო საფეხურზე, როგორც საქართველოში ისე საზღვარგარეთ. |
| **სწავლის შედეგები** | პროგრამის დასრულების შედეგად სტუდენტს ჩამოუყალიბდება შემდეგი კომპეტენციები:<br>**ცოდნა და გაცნობიერება**<br>✓ იცის ტურიზმის საფუძვლები, გააჩნია ორგანიზაციის, მისი გარემოსა და მათი მართვის თეორიების, კონცეფციებისა და ძირითადი პრინციპების ცოდნა;<br>✓ აქვს ტურიზმის ფუნქციონალური სფეროების; მენეჯმენტის, პროექტის მართვის, მარკეტინგისა და გაყიდვების, კადრების მართვის, საკომუნიკაციო და საინფორმაციო ტექნოლოგიების ცოდნა;<br>✓ აცნობიერებს ტურიზმის როლს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში; |

| | |
|---|---|
| | ✓ ფლობს ცოდნას ტურიზმის საერთაშორისო სტანდარტების შესახებ;<br>✓ ტურიზმის სექტორში არსებული ცნებებისა და ტერმინოლოგიის ცოდნა.<br>**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება**<br>✓ პროფესიული ტერმინოლოგიის მუშაობის პროცესში გამოყენების უნარი, პრეზენტაციებსა და დისკუსიებში მონაწილეობისა და ტურისტული საკითხების ანალიზის დროს;<br>✓ მიღებული ცოდნის სათანადოდ გამოყენების უნარი კერძო თუ სახელმწიფო დაწესებულბებში დასაქმებისას;<br>✓ მარეგულირებელი ორგანოების მიერ დაწესებულ შეზღუდვებთან, მოთხოვნებთან და რეგულაციებთან, ასევე საერთაშორისო სტანდარტებთან დაკავშირებით არსებულ შეუსაბამობათა აღმოჩენის უნარი;<br>✓ ტურიზმის სფეროში პროცესების მართვის ძირითადი უნარები: პროცესების იდენტიფიცირება, ეფექტიანობის გაზომვა;<br>✓ ძირითადი მარკეტინგული უნარები: მარკეტინგული მონაცემების თავმოყრა, დაჯგუფება, ანალიზი, ტურისტული ბაზრის კვლევა, მისი შესაძლებლობების განსაზღვრა და პროგნოზირება, მარკეტინგული ღონისძიებების განხორციელება;<br>✓ პროექტის მართვის უნარი: მიზნის ფორმულირება; მიზნების, ამოცანებისა და შედეგების ურთიერთკავშირის განსაზღვრა, დროებითი ჩარჩოების დაგეგმვა და მართვა; შესაბამისი რესურსების განსაზღვრა და მართვა;<br>✓ ტურიზმის სფეროში ოპერატიულ, ტაქტიკურ დონეზე გადაწყვეტილების მიღების უნარი, სტრატეგიული და ტაქტიკური გადაწყვეტილების მიღების, მიზნების და კრიტერიუმების ფორმულირების უნარი;<br>✓ შეუძლიათ ტურიზმის სფეროში თავიანთი დასკვნის საჯარო წარმოდგენა, მათი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან.<br>**დასკვნის უნარი**<br>✓ სფეროსთან დაკავშირებული საკითხების გააზრებისათვის აუცილებელი ანალიტიკური უნარ-ჩვევა. სფეროსათვის დამახასიათებელი მონაცემების შეგროვების, დამუშავებისა და |

| | |
|---|---|
| | განმარტების შედეგად მიღებული ტურისტული ინფორმაციის, სიტუაციების ანალიზისა და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების უნარი;<br>✓ მონაცემების ინტერპრეტაციის კომპლექსური პრობლემების და რისკების იდენტიფიცირების, პრობლემების გადაჭრისა და რისკების მართვის ალტერნატიული გზების განსაზღვრის უნარი;<br>✓ დარგთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების, მიღებული გადაწყვეტილების არგუმენტირებულად დასაბუთებისა და დაცვის უნარი;<br>✓ თანმიმდევრული მსჯელობისა და ანალიზის საფუძველზე დასკვნების გაკეთების უნარი;<br>✓ დამოუკიდებლად შეუძლია ახალი მონაცემების ანალიზი; მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში შეუძლია მონაცემებისა და კონცეფციების ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრა;<br>✓ მუშაობის დაწყებამდე შეუძლია სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა და პრიორიტეტის გამოყოფა;<br>**კომუნიკაციის უნარი**<br>✓ პროფესიონალურ დონეზე კომუნიკაციის დამყარების უნარი;<br>✓ საკუთრი მოსაზრებისა და პოზიციის გარკვევით და მკაფიოდ ფორმულირების და სხვებისთვის გაზიარების უნარი; სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად არგუმენტების ჩამოყალიბების უნარი;<br>✓ დარგთან დაკავშირებული საკითხებზე საუბრის წარმართვის უნარი. სხვადასხვა თემებზე პროფესიული ტერმინოლოგიის გამოყენებით მკაფიოდ და დეტალურად საუბრის, გარკვეული აქტუალური საკითხებისადმი საკუთარი დამოკიდებულების ჩამოყალიბების უნარი;<br>✓ პროფესიულ და აკადემიურ საზოგადოებასთან დისკუსიის წარმართვის უნარი, დებატებში მონაწილეობისას პირადი პოზიციისა და მოსაზრების არგუმენტირებულად ჩამოყელიბებისა და დასაბუთების უნარი, საკუთარი პოზიციის დაცვის უნარი;<br>✓ არსებული პრობლემებისა და ამ პრობლემების გადაჭრის გზების შესახებ მოსაზრების დეტალურად და გარკვევით ჩამოყალიბებისა |

| | |
|---|---|
| | და წარმოდგენის უნარი;<br>✓ სამუშაო ან სასწავლო ჯგუფებთან ეფექტურად მუშაობისა და ურთიერთობის უნარი. ჯგუფური განხილვებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებაში მონაწილეობის მიღებისა და ჯგუფური მუშაობის საბოლოო შედეგში წვლილის შეტანის უნარი;<br>✓ ინფორმაციის გადაცემისას (პრეზენტაციები, მოხსენებები) თუ სასწავლო პროცესში თანამედროვე საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ნაყოფიერად გამოყენების უნარი;<br>✓ ინტერაქტიული კომუნიკაციისათვის სათანადო გარემოს შექმნისა და ამგვარ კონტექსტში აუდიტორიის ჩართვის უნარი.<br>✓ წერილობითი ანგარიშის მომზადება, შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან დისკუსიაში მონაწილეობის მიღება, კვლევითი სახის შრომის მომზადება,<br>✓ შეუძლია კომპლექსური საკითხის/კითხვის ფორმულირება/ ჩამოყალიბება და როგორც წერილობით, ასევე ზეპირად წარდგენა/პრეზენტაცია<br>**სწავლის უნარი**<br>✓ შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება;<br>✓ შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა;<br>✓ შეუძლია დამოუკიდებლად, ლიტერატურის გამოყენებით, აიმაღლოს ცოდნა;<br>✓ დამოუკიდებლად მუშაობს დარგობრივ სასწავლო და სამეცნიერო ლიტერატურასთან.<br>**ღირებულებები**<br>✓ სფეროსთან დაკავშირებული საკითხებისადმი ინტერესი და მიღებული ცოდნის გაღრმავების სურვილი;<br>✓ ეთიკის ნორმებისა და ეთიკური მოთხოვნების შესაბამისი ღირებულებების განუხრელად დაცვის აუცილებლობის აღქმა;<br>✓ ეთიკური ღირებულებების დამკვიდრების სურვილი. ორგანიზაციასა და საზოგადოებაში ეთიკური და კორპორაციული პასუხისმგებლობის როლის გაცნობიერების შედეგად ჩამოყალიბებული იმ ეთიკური საკითხებისა და პრობლემების ამოცნობის, გაანალიზების, შესაბამისი გადაწყვეტილებების |

| | |
|---|---|
| | მიღებისა და დაცვის უნარი, რომელსაც ადგილი აქვს სხვადასხვა დაწესებულებაში ტურიზმთან დაკავშირებული საქმინობის პროცესში;<br>✓ აკადემიური და პროფესიული პატიოსნების პრინციპების დაცვის სურვილი;<br>✓ პროფესიული პასუხისმგებლობის გრძნობა.<br>✓ მონაწილეობა ჯგუფური გადაწყვეტილებების შემუშავებაში;<br>✓ ენთუზიაზმისა და ინიციატივის დემონსტრირება;<br>✓ ეფექტური ურთიერთობა სამუშაო/სასწავლო ჯგუფში;<br>✓ პროფესიული პასუხისმგებლობა. |
| **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა** | შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებაში.<br>სტუდენტის ცოდნის შეფასება ხორციელდება ზეპირი და/ან წერილობითი ფორმით. სასწავლო კურსის/კომპონენტის მაქსიმალური შეფასება 100 ქულის ტოლია. შეფასება ითვალისწინებს შუალედურ და დასკვნით შეფასებას, რომელთა ჯამი შეადგენს 100 ქულას.<br>შეფასების სისტემა უშვებს:<br>ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას<br>1) (A) ფრიადი – შეფასების 91 - 100 ქულა;<br>2) (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81 - 90 ქულა;<br>3) (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71 - 80 ქულა;<br>4) (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61 - 70 ქულა;<br>5) (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51 - 60 ქულა.<br>ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას<br>1) (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41 - 50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;<br>2) (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. |

| | |
|---|---|
| | შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ აღემატება დასკვნითი შეფასების 60%-ს.<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების ქულობრივი განაწილება, მათი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და შეფასების რუბრიკები გაწერილია შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში.<br><br>კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დადგენილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, ქვემოთ მოყვანილი აუცილებელი მოთხოვნების გათვალისწინებით:<br><br>ა) შუალედური და დასკვნითი შეფასებების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის გადალახვის შემთხვევაში;<br><br>ბ) საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მინიმუმ 51 ქულის მოგროვების შემთხვევაში.<br><br>დამატებით გამოცდაზე სტუდენტი დაიშვება იმ შემთხვევაში, თუ მან საბოლოო შეფასების მაქსიმალური 100 ქულიდან მოაგროვა 41 - 50 ქულა ან მინიმუმ 51 ქულა, მაგრამ ვერ გადალახა დასკვნითი შესაფებისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.<br><br>შუალედური და დასკვნითი შეფასებების კომპონენტების ფორმატი და შეფასების კრიტერიუმები განისაზღვრება თითოეული სასწავლო კურსის/კვლევითი კომპონენტის/პრაქტიკის სილაბუსის მიხედვით, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და ზემოთ მოყვანილი კრიტერიუმების დაცვით.<br><br>შეფასების საშუალებები შემდეგია:<br><br>✓ ტესტი/ქვიზი/საკონტროლო წერა;<br>✓ საკლასო მუშაობა/კლასში აქტიურობა;<br>✓ საშინაო დავალება;<br>✓ დისკუსია;<br>✓ ზეპირი გამოკითხვა;<br>✓ წერითი გამოკითხა;<br>✓ ესე;<br>✓ სემინარი;<br>✓ პრეზენტაცია; |

| | |
|---|---|
| | ✓ ჯგუფური/ინდივიდუალური პროექტი;<br>✓ შუალედური და დასკვნითი გამოცდა.<br>შეფასების კომპონენტებს შორის, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, არის სისწორე, სიზუსტე, სისრულე, თეორიული დასაბუთების, პრაქტიკული მაგალითებისა და გამოყენებული ტერმინოლოგიის ადეკვატურობა, დისკუსიებში მონაწილეობის ხარისხი და არგუმენტების ლოგიკურობა. |
| **დასაქმების სფერო** | - |